

ს დ ა ს უ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2018 -2024 წწ.)

თბილისი

2017

შესავალი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ - შემდგომში, „უნივერსიტეტი“, შემოკლებით - „სდასუ“) თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის 27-წლიანი ისტორიის მქონე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამცველი სუბიექტია, რომელიც ორიენტირებულია ინტელექტუალური რესურსები მიმართოს ქვეყნის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისა და წარმატებული განვითარებისათვის.

სდასუ-ს სტრატეგიული გეგმაში (2018-2024 წ.წ.) ასახულია უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები, მიზნები და განვითარების პრიორიტეტები 7-წლიან პერიოდში. იგი განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს როგორც საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური, ისე მოზიდული რესურსების ეფექტიანად გამოყენებით.

სტრატეგიულ გეგმაში დეტალურადაა აღწერილი უნივერსიტეტის როგორც საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი სუბიექტის ძლიერი და სუსტი მხარეების, ისე განვითარების შესაძლებლობების და რისკ-ფაქტორების ანალიზი.

სტრატეგიული გეგმით (2018-2024 წ.წ.) შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების გზები, ჩამოყალიბებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარკამპანიის სტრატეგია შესაბამისი პრიორიტეტების მიხედვით. განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების მიღწევის ვადები და მექანიზმები.

მიზანი

სდასუ-ს მიზანია გლობალური გამოწვევებისა და მზარდი კონკურენციის პირობებში ჩამოყალიბდეს ლიდერ საერთაშორისო სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერად; საზოგადოებას გარანტირებულად შესთავაზოს მაღალხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება მისი მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივით; იზრუნოს უნივერსიტეტის ცნობადობის ხარისხის ამაღლებასა და განვითარებაზე ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით.

მისია

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი მრავალპროფილური კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც მიისწრაფვის: განუვითაროს სტუდენტს კრიტიკული, ინოვაციური და შემოქმედებითი აზროვნება, რაც ქვეყნის წარმატების და საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია; უზრუნველყოს უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო

სივრცეში ინტეგრაცია; აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შედეგად გადასცეს სტუდენტს ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა. მაქსიმალურად მოამზადოს სტუდენტი იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მას მომავალი საქმიანობა; მოახდინოს ყველაზე პერსპექტიული, რეალიზებადი და ინოვაციური პროექტებისა და იდეების სელექცია; აზიაროს ახალგაზრდები „უნივერსიტეტების დიდი ქარტიით“ განსაზღვრულ თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ეთიკურ ღირებულებებსა და იდეალებს.

ხედა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი 2025 წლისათვის არის აღიარებული მრავალპროფილური ღია აკადემიური სივრცე, რომელიც სწავლების ინოვაციური მეთოდებით, საერთაშორისო სივრცეში აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამებითა და პროექტებით, აქტუალური კვლევებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ღირსეული პოზიცია უკავია ქვეყნის საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ღირებულებები და პრინციპები

- აკადემიური თავისუფლება - სდასუ მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას;
- საქმიანობს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობითა და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით და ქმნის უნივერსიტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარ პირობებს.
- მუდმივად აფასებს და აუმჯობესებს საკუთარ საქმიანობას და ამკვიდრებს აკადემიურ კულტურას;
- აცნობიერებს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და ჩართულია სამოქალაქო აქტივობებში.
- ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლების, სწავლის, სამეცნიერო-აკადემიური კვლევის, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში.
- კორპორატიული განცდა - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალურობა, გუნდური მუშაობა და ჰარმონიული ურთიერთობები.

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული მხარეების ანალიზი

უნივერსიტეტი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობით. წლების განმავლობაში სდასუმ პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა: ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან და კვლევით ინსტიტუტებთან. უნივერსიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან და გაერთიანებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულებთან, მასმედიის საშუალებებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან. აღნიშნული ურთიერთობების განვითარებისას, უნივერსიტეტს არჩეული აქვს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობისა და თანამშრომლობის სტრატეგია. სდასუსათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებთან, მათი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართვის, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვადასხვა აქტუალური პროექტების განხორციელების მიზნით.

სდასუ თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, საუნივერსიტეტო სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით (სპორტული, კულტურული და სხვ.).

დღეისათვის სდასუ აცნობიერებს საგანმანათლებლო პასუხისმგებლობას სამოქალაქო საზოგადოების წინაშე და ორიენტირებულია განვითარებაზე, რაც ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- უნივერსიტეტის მოღვაწეობის 27-წლიანი მრავალპროფილური გამოცდილება;
- უნივერსიტეტის მაღალი ავტორიტეტი და დადებითი იმიჯი;
- სტაბილურად მზარდი ფინანსური რესურსი;
- უნივერსიტეტის ხელსაყრელი მდებარეობა, განვითარებული ინფრასტრუქტურა და სტაბილური ფინანსური რესურსი;
- აკრედიტებული საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები;
- ევროპის ბიზნეს ასამბლეის წევრობა;
- თანამშრომლობა პროგრამების შესაბამისი პროფილის პარტნიორ დაწესებულებებთან;
- საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული სამეცნიერო და აკადემიური პერსონალი;
- კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;

- კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი;
- თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- სტუდენტების დასაქმების მიზნით საქმიანი და აქტიური ურთიერთთანამშრომლობა სახელმწიფო დაწესებულებებთან და კერძო სექტორში ფუნქციონირებად კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- საკუთარი ავტორიზებული ტელევიზია სდასუ-TV;
- ორგანიზებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი სასწავლო მასალებით;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება;
- თანამედროვე ბიბლიოთეკა მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსით;
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვირტუალური ლაბორატორიების მულტიდისციპლინური ინოვაციური ცენტრი, რომელიც გაიხსნა „ტემპუსი“-ს პროექტის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით და ვესტმინსტერის უნივერსიტეტის თანამონაწილეობით;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულების კლინიკური ბაზები;
- უნივერსიტეტის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგ-ცენტრი;
- სდასუ-ს საკუთრებაში არსებული ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც ემსახურება სტომატოლოგიის მიმართულების სასწავლო პროცესს;
- სტუდენტთა სტაბილური რაოდენობა;
- მართვის გამჭვირვალე სისტემა;
- ძლიერი სტუდენტური თვითმმართველობა.

სუსტი მხარეები

- უნივერსიტეტში განათლების მიღების ხარისხი სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს;
- აუცილებელია კვლევითი კომპონენტის ინტეგრირება სასწავლო პროცესში;
- კავშირი სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მეცნიერ-მკვლევარს შორის არ არის საკმარისად ძლიერი;
- მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესი;
- გასაფართოებელია სტრატეგიულ პარტნიორთა წრე;
- უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიები საჭიროებს მოდერნიზაციას;
- მართვის პროცესი საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას.
- უნდა განვითარდეს სტუდენტური სერვისები;
- პრობლემას წარმოადგენს უცხო ენის მცოდნე პერსონალის ნაკლებობა;

- უცხოენოვანი პროგრამების არარსებობა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი სასურველია უფრო მაღალი იყოს.
- უცხოელ პარტნიორებთან ნაკლები თანამშრომლობა;
- საუნივერსიტეტო გრანტების არარსებობა;
- კვლევების სიმწირე.

განვითარების შესაძლებლობები

- რეაქტორიზაციის წარმატებით გავლა და პროგრამული აკრედიტაციის მიღება;
- სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირება;
- სწავლების ელექტრონულ ფორმებისა და დისტანციური სწავლების ეტაპობრივი დანერგვა;
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება;
- ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკებების დაწყება სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით;
- ახალი აკადემიური პროგრამების (მათ შორის უცხოენოვანი) შემუშავება;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მათი რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა;
- პროგრამების მოდერნიზება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით;
- საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება ცალკეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თუ ცალკეული აკადემიური პროგრამისათვის;
- კვლევის პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირება და შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დანერგვა;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- აბიტურიენტების მოსაზიდად სხვადასხვა ფორმატის პიარსტრატეგიის შემუშავება.
- სდასუ-ს შეთავაზებულ სერვისებზე ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის განვითარებისათვის კურსდამთავრებულთა ინტეგრირების ხელშეწყობა;
- სდასუ-ს შენობის ფართის გაზრდა , შესაბამისად აღჭურვა და ეზოს კეთილმოწყობა.

რისკები და საფრთხეები

- მოსახლეობის მძიმე სოციალური ფონი;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- არამდგრადი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პოლიტიკა და არამდგრადი რეფორმები;

- სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების არათანაბარ პირობებში ჩაყენება;

სტრატეგიული ამოცანები და მიმართულებები

საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, უნივერსიტეტის წინაშე არსებული პრობლემებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები 2018-2024 წლებისათვის. ესენია:

1. სასწავლო და კვლევითი გარემო თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიური აღჭურვილობით, ინფორმაციული სისტემებითა და უახლესი სასწავლო რესურსით.
2. სწავლა-სწავლებისა და კვლევების თანამედროვე ინოვაციური მეთოდების დანერგვა, კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფა ქვეყნის და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა.
3. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება
4. ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შემუშავება და განვითარება
5. ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობითი სისტემის ფორმირება.

სტრატეგიული გეგმა 2018-2024

N	სტრატეგიული ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი
1.	<p>მიზანი: სასწავლო და კვლევითი გარემო თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიური აღჭურვილობით, ინფორმაციული სისტემებითა და უახლესი სასწავლო რესურსით.</p> <p>მიზნის მიღწევის გზები:</p> <p>1.1. ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა და უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის ჩართვა სისტემაში;</p> <p>1.2. აუდიტორიების განახლება სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით;</p> <p>1.3. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდენტთა მომსახურების ცენტრის შექმნა;</p> <p>1.4. ელექტრონული სალექციო კურსების შექმნა;</p> <p>1.5. რეკრეაციული ზონების და სტუდენტური კაფის მოწყობა;</p> <p>1.6. ელექტრონული ბიბლიოთეკის განახლება/გამდიდრება;</p> <p>1.7. სპორტული დარბაზის მოწყობა და აღჭურვა;</p> <p>1.8. კულტურული ღონისძიებების განხორციელება</p> <p>1.9 ახალი საუნივერსიტეტო კამპუსის სამუშაოების დაგეგმვა, პროექტირება, მშენებლობის დაწყება</p> <p>1.10 ადაპტირებული სასწავლო გარემოს განვითარება</p> <p>1.11 დასუ-ს შენობის ფართის გაზრდა, შესაბამისად აღჭურვა და ეზოს კეთილმოწყობა.</p>	<p>გაუმჯობესებული სასწავლო გარემო;</p> <p>გაუმჯობესებული სამუშაო გარემო;</p> <p>განახლებული და აღჭურვილია აუდიტორიები თანამედროვე ტექნოლოგიებით;</p> <p>დანერგილია პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემა და გაუმჯობესებულია სტუდენტის საინფორმაციო სისტემა;</p> <p>მოდერნიზებულია საუნივერსიტეტო სივრცე;</p> <p>განახლებული ციფრული ბიბლიოთეკა;</p> <p>განვითარებულია სპორტული და კულტურული გარემო;</p> <p>მიმდინარეობს კამპუსის მშენებლობა;</p> <p>განვითარებულია ადაპტირებული გარემო;</p> <p>გაზრდილია და აღჭურვილია შენობის ფართი, კეთილმოწყობილია ეზო.</p>
2.	<p>მიზანი: სწავლა-სწავლებისა და კვლევების თანამედროვე ინოვაციური მეთოდების დანერგვა, კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფა ქვეყნის და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. ხარისხის</p>	<p>დახვეწილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;</p> <p>განსაზღვრულია სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტები და ხელშეწყობილია კვლევების</p>

<p>უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა. მიზნის მიღწევის გზები:</p> <p>2.1 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა</p> <p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმების დახვეწა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად</p> <p>2.3. სწავლის შედეგების კონტროლის მექანიზმის შემუშავება</p> <p>2.4. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა</p> <p>2.5. საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების დაფინანსების სისტემის დანერგვა</p> <p>2.6. მეცნიერების პოპულარიზაცია</p> <p>2.7 უნივერსიტეტის სამივე საფეხურზე სწავლების პოპულარიზაცია;</p> <p>2.8 საგანმანათლებლო თანამშრომლობის განვითარება სკოლებთან, ღონისძიებებისა და აქტივობების (მათ შორის გარემოსდაცვითი ღონისძიებები) შეთავაზება პოტენციური სტუდენტებისთვის;</p> <p>2.9 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი ტრენინგ-კურსების მომზადება და ჩატარება (სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდები, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდები და ა.შ.)</p> <p>2.10. ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარება</p> <p>2.11. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განვითარება და შეფასება</p> <p>2.12. საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებისა და ინდიკატორების შესწავლა</p> <p>2.13. საერთაშორისო აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა</p> <p>2.14 თვითშეფასების პროცესში უცხოელი</p>	<p>ინტეგრირება სასწავლო პროცესში; დანერგილია სწავლების თანამედროვე მეთოდები; ამოქმედებულია უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები; მიღებულია საერთაშორისო აკრედიტაცია; ამოქმედებულია ელექტრონული სწავლების სისტემა; დანერგილია დისტანციური სასწავლო კურსები; განვითარებულია თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდები (სიმულაციებისა და ვირტუალური მოდელების გამოყენება); უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მსურველთა რაოდენობის ზრდა; უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა; უნივერსიტეტის სკოლების ჩართულობა მომავალი სტუდენტებისთვის შეთავაზებულ სერვისებში; საზოგადოებისგან უკუკავშირი, რომელიც ეხება უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების პროგრამებს; დანერგილი და განვითარებულია პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმები.</p>
--	---

	<p>ექსპერტების მონაწილეობა</p> <p>2.15 საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა საერთაშორისო აკრედიტაციაზე</p> <p>2.16. ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა და სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსების ინტეგრაცია</p> <p>2.17. დისტანციური საგანმანათლებლო სასწავლო კურსების შექმნა;</p> <p>2.18 თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების მხარდაჭერა (სიმულაციებისა და ვირტუალური მოდელების გამოყენება)</p> <p>2.19 უწყვეტი განათლების პოპულარიზაცია;</p> <p>2.20 პლაგიატის წინააღმდეგ მექანიზმების დანერგვა და განვითარება</p>	
<p>3.</p>	<p>მიზანი: საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება</p> <p>მიზნის მიღწევის გზები:</p> <p>3.1. საინფორმაციო სერვისის განვითარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა</p> <p>3.2. სტუდენტთა სერვისის განვითარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, მათ შორის ფსიქოკონსულტირების ცენტრის ჩამოყალიბება</p> <p>3.3. კარიერული განვითარების სერვისის განვითარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა</p> <p>3.4. უწყვეტი განათლების ცენტრის განვითარების სტრატეგიის შემუშავება</p> <p>3.5. კურსდამთავრებულთა იდენტიფიცირება, კურსდამთავრებულთა კლუბის სამოქმედო გეგმის შემუშავება.</p>	<p>განვითარებულია საინფორმაციო სერვისის მექანიზმები;</p> <p>განვითარებულია სტუდენტთა სერვისის მექანიზმები;</p> <p>განვითარებულია კარიერული განვითარების სერვისის მექანიზმები;</p> <p>განვითარებულია უწყვეტი განათლების ცენტრი;</p> <p>ამოქმედებულია კურსდამთავრებულთა კლუბი;</p> <p>ამოქმედებულია ფსიქოკონსულტირების ცენტრი</p>
<p>4.</p>	<p>მიზანი: ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შემუშავება და განვითარება</p> <p>მიზნის მიღწევის გზები:</p> <p>4.1. განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია</p> <p>4.2. განათლების თანამედროვე გამოწვევების</p>	<p>ამოქმედებულია განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;</p> <p>ამოქმედებულია უცხო ენის კომპეტენციის განვითარების მექანიზმი;</p> <p>ამოქმედებულია პარტნიორ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მექანიზმი;</p>

<p>შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება</p> <p>4.3.სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა უცხო ენის კომპეტენციების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით</p> <p>4.4.სასწავლო პროგრამებში უცხო ენების კომპონენტის სწავლების გაძლიერება</p> <p>4.5 პერსონალის და სტუდენტთა ენობრივი უნარების განვითარება</p> <p>4.6.პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაფართოება და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით კონტაქტების დამყარება ახალ ინსტიტუციებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, თანამშრომლობის გაფართოება და ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა-ორგანიზება</p> <p>4.7 სტუდენტთა და თანამშრომელთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა</p> <p>4.8.უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების შემუშავების პარალელურად უცხოელი სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების მოზიდვა და მათთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა</p> <p>4.9.ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბების ხელშეწყობა: საერთაშორისო ფონდების მოძიება, კონტაქტის დამყარება და უნივერსიტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით მათთან კოორდინირებული თანამშრომლობა;</p> <p>4.10 უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ზრდა მათი უწყვეტი განათლების მხარდაჭერით</p>	<p>ამოქმედებულია საერთაშორისო საზაფხულო სკოლები;</p> <p>გაფართოებულია საერთაშორისო მობილობა (ხორციელდება უცხოელი სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების მოზიდვა და ჩართვა სწავლებასა და კვლევაში);</p> <p>ხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; განვითარებული და ამოქმედებულია ფონდების მოზიდვის მექანიზმი; ვითარდება პერსონალის და სტუდენტთა ენობრივი უნარები; უწყვეტი განათლების ცენტრი ხელს უწყობს პერსონალის კვალიფიკაციის ზრდას</p>
<p>5. მიზანი: ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობითი სისტემის ფორმირება.</p> <p>მიზნის მიღწევის გზები:</p> <p>5.1.მმართველობითი სტრუქტურის ცვალებად გარემოს მოთხოვნებთან ადაპტირების ეფექტური მექანიზმის შემუშავება;</p>	<p>შემუშავებულია ცვალებად გარემო პირობებზე ადაპტირების ეფექტიანი მექანიზმები;</p> <p>განვითარებულია დაინტერესებულ (ჩართულ) მხარეებთან კომუნიკაციის მექანიზმი;</p> <p>შემუშავებულია მენეჯმენტის</p>

<p>5.2.ცვალებად გარემოზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და ქმედებების დაწყება;</p> <p>5.3. დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური ქმედების სტრატეგიის შემუშავება და საქმიანობის განვითარება;</p> <p>5.4.მენეჯმენტის პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგ-პროგრამის ძირითადი მოთხოვნების შემუშავება და დაგეგმვა;</p> <p>5.5.უნივერსიტეტის მეგობართა კლუბის“ შექმნა, ამოქმედება, დებულების ფორმირება, კლუბის წევრობის კრიტერიუმების განსაზღვრა;</p> <p>5.6.სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევის მონიტორინგის განხორციელება;</p> <p>5.7.ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმების შემუშავება და მონიტორინგი.</p>	<p>ჯგუფის პროფესიული განვითარების მექანიზმი;</p> <p>ჩამოყალიბებულია „უნივერსიტეტის მეგობართა კლუბი“, რომელიც ეწევა უნივერსიტეტის პოპულარიზაციას და ინიციატივების მხარდაჭერას; ამოქმედებულია მმართველობითი სტრუქტურის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ცვლილებების შეტანის მექანიზმი.</p>
--	---

